

1-29 სტრ., 1r

ქართველთ მეფობა

ა) ქ ფარნავაზი იყო მამულად ქართველი ნათესავი უფლოსი მცხეთოს ძისა და დედულად სპარსი ასპანელი იყო ძმის წული სამარისა ალექსანდრესა მოსვლისა მაკედონელისასა მცხეთელ მამა

სახლისი ყოფილი იყო. ეს სამარ და ძმა მისი მამად ფარნავაზისი მოკლულ იყო ალექსანდრესა გან დედასა წარეყვანა სამისა წლისა კავკასიად: და ქართველნი ქართული ამან გააკეთა და წიგნი

ფარნავაზ მეფემ ქართლისა ამან შვა ძე საურმაგ

ბ) ქ. საურმაგ მეფე ქართლოსიანი ესე საურმაგ მსახურებდა მეფესა ასურასტანისასა მოიყვანა ცო

ლი სპარსი, ბარდაველის ერისთავისა და ესხნეს მას თანა ორნი ასულნი და არა ესვა ძე მიიყუა

ნა სპარსეთით შვილი ნებროთის ნათესავისაგან ცოლისა მისისა დედის დის წული და დაისვა შვილად: სახელად დაერქო მირვან მისცა ასული თვისი ცოლად და მეორე ასული მისცა მეფესა ქაჯეთისასა მამის დისწულსა მისსა მოკუდა საურმაგ დრველად დურძუკეთსა

გ) ქ. მეფე მირვან შვილობილი საურმაგისა ნებროთიანი ამ მეფის დროს მიიცივალა ანტიოქსა მეფობა ბაბილონს და მეფე იქმნა სომხითს ერქვა არშაკ ეზრაზა მირვან აშრაკს და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისასა არშაკს და მოკუდა მირვან:

დ) ქ. მეფე ფარნაჯოვ ძე მირვანისა მეფისა ნებროთიანი სომეხთა მეფეთა მოკლეს ფარნაჯომ ამის

ძე მირვან ერთისა წლისა იყო წარიყვანა სპარსეთს მამამ მძუძემან მისმან სომხეთის მეფემან მოსცა ქართველთა მეფედ ძე თვისი არშაკ:

ე) მეფე არშაკ არშაკუნიანი: ამისი ძე არტაგ:

ვ) მეფე არტაგ არშაკუნიანი: ამისი ძე ბარტომ:

ზ) მეფე ბარტომ არშაკუნიანი: არა ესვა ძე არამედ ასული ერთი მოიყვანა სიცოცხლესა ვე თვისსა ეგრისით ძმის წული ქუჯისა სახელით ქართამ შესდგმიდა შარვაზინობად ფარნავაზის დის ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა საურმაგის ასულისა ქუჯის ძის ცოლისა გან და შვილად აღეყვანა ბარტომს და ესეცა ქართამ ამავე ბარტომ მეფესთან მოიკლა წყობათა შინა ცოლი მისი ბარტამ მეფის ასული უძლები დარჩა ივლტოდა სომხითს მუნ შვა ყრმა და უწოდა ადერკი და იზრაზებოდა იგი მუნ:

წ) მეფე მირვან ძე ფარნაჯომ მეფისა ნებროთიანი ძე არშაკ

თ) არშაკ ნებროთიანი: ესე მეფე არშაკ იყო დედითა არშაკონიანი და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი მოკლა არშაკ ადერკიმ:

ი) მეფე ადერკ ასულის წული ბარტომ მეფისა და ძე ქართამისი: ბარტომ მეფის შვილებულისა არშაკუნიანი. მას ესხნეს ძენი ორნი ბარტომ და ქართამ მოკუდა ადერკი მეფე იქმნეს ეს

1-29 სტრ., 1v

ორნი ძენი მცხეთას ბარტომ და არმაზს ქართამ:

ია) მეფე ბარტომ და ქართამ არშაკუნიანი: ბარტომს ესვა ძე კაოს და ქართამს ესვა ძე ფარსმან.

იბ) მეფენი კაოს ძე ბარტომისი მცხეთას იჯდა: და ფარსმან ძე ქართამისი არმაზს არშაკუნიანი კაოზს ძე ესვა არმაზელ: და ფარსმანს ესვა ძე აზორკ:

იგ) მეფე არმაზელ ძე კაოსი: და აზორკ ძე ფარსმანისა, არშაკუნიანი: არმაზელს ესვა ძე ამზასპ და აზორკ ესვა ძე დერკ:

იდ) მეფენი ამზასპ და დეროკ არშაკუნიანი: ამათ ესვა ძენი ამზასპს მირდატ: და დეროკს ფარსმან ქველი:

იე) მეფენი მირდატ და ფარსმან ქველი არშაკუნიანი: და მოაკლდეს ესე მეფენი ფარსმან ქველის ძე იყო ადამი:

ივ) მეფე ადამი ძე ფარსმან ქველისა არშაკუნიანი: სამ წელ იმეფა და მოკუდა და ესვა ძე წლისა ერთისა სახელად ფარსმან და ვიდრე აღიზრდებოდა მეფობდა მამის დედა მისი ცოლი ფარსმან ქველისა სახელით ლადან და ოდეს აღიზარდა ფარსმან ქველის ძე ადამისა სახელითვე ფარსმან დაჯდა:

იზ) მეფე ფარსმან არშაკუნიანი: და ესვა ძე ამზასპ:

იწ) მეფე: ამზასპ არშაკუნიანი: მოკლეს ამზასპ სომეხთ მეფემან ძე თვისი დაუტევა ქართლის მეფედ დის წული ამზასპ მეფისა სახელად რევ: ით) მეფე რევ დის წული ამზასპ მეფისა არშაკუნიანი: ამან რევ მოიყუნა ცოლი საბერძნეთით ასული ლოლოთიესა სახელით სეფელია და მოიხუნა კერპნი აღმართა ზედა თავსა მცხეთისასა და შვა ძე და უწოდა სახელი ვაჩე: ამან ამოკვეთა შვილების დაკვლა.

კ) მეფე ვაჩე: არშაკუნიანი და ესვა ძე ბაკურ.

კა) მეფე ბაკურ არშაკუნიანი: და ესვა ძე მირდატ.

კბ) მეფე მირდატ არშაკუნიანი: და ესვა ძე ასფაგურ:

კგ) მეფე ასფაგურ არშაკუნიანი: არა ესვა ძე, არამედ ასული ერთი აბეშურა: ესე ასაბა გურ მოკუდა ოვსეთში და არა დამთა მემკვიდრე არამედ ქართველთა სთხო ეს მეფესა სპარსეთისასა შვილი მეფედ: ოდეს ილაშქრა სომეხთა მეფეთა ზედა და მეფემან სპარსისამან აღასრულა სათხოველი და მისცა ძე თვისი რომელი მუნ თანა ჰყუა შვილისა წლისა ნაშობი მხეველისა რომელსა ერქუა სპარს.

1-30 სტრ., 2r

სულად მიჰრან და ქართულად მირიან. შერთეს ცოლად ასული მირიანს ასფაგურ მეფისა სახელად აბეშურა და მეფე იქმნა ქასრისი არდაშირისი სასანელისა:

კდ) მეფე მირიან ძე სპარსთა მეფისა ხოსროიანი რომელმან იცნა ღთი და ნათელს იღო წმიდა ნინოსაგან და ოდეს იქმნა მირიან თოთხმეტისა წლისა მოკუდა ცოლი მირიანისა აბეშურა: ასული ქართველთა მეფისა და ამიზა დაესრულა ქართლსა შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა ხოლო მეფემან მირიან მოიყვანა მეორე ცოლი საბერძნეთით პონტოდთ ასული ულიოტორისა სახელით ნანა და ესხნეს ამას მეფესა ძენი ორნი ბაქარ და რევი: ამ რევს შერთო ასული თრდატ სომეხთ მეფისა სახელით სალომე: და მოქცევითგან მეფისა მირიანისა ოცდა ხულ წელსა მოკუდა ძე მისი რევ და მერე მოკვდა მეფე მირიან და შემდგომად ორსა წელსა მოკუდა დედოფალი ნანა:

კე) მეფე ბაქარ ძე მირიანისა ხოსროიანი: და ესვა ძე მირდატ:

კვ) მეფე მირდატ ხოსროიანი: და ესვა ძე ვარზ ბაქარ:

კზ) მეფე ვარზ ბაქარ ხოსროიანი: და შეერთო ცოლი ასული თრდატ რევის მისა მირიანის წულისა და შვა ძე მურვანოს რომელსა ეწოდა პეტრე და იქმნა მონ

აზონ და ეპიზოკოპოზ: ესე ვაზრ ბაქარ დაშთა უძეოდ და შეირთო სხვაცა ცოლი ძი ს წული ფეროზისა მირიანის ასულისა და უშვა ფეროზის ძის წულმან ძე სახელით ფარსმან: რევის ძის წულმან რომელი პირველად ვახსენეთ უშვა ორნი ძენი სახელნი მირდატ და თრდატ და მოკუდა ვარაზ ბაქარ.

კწ) თრდატ მეფე სიმამრი ვარაზ ბაქარისა ხოსროიანი:

კთ) მეფე ფარსმან ძე ვარაზ ბაქარისა ხოსროიანი:

ლა) მეფე არჩილ ძე მირდატ მეფისა: ადგილით ხოსროიანი. ამ მეფემან მოიყვანა ცოლი საბერძნეთით ნათესავი იკზინიანოზ მეფისა სახელად მარიამ და უშვა ძე სახელით მირდატ და შეირთო ასული რანის ერისთავისა ბარზაბოდისა სახელით საგდუხტ და მისცა ძე თვისსა სამშვილდე საერისთაოცა მისითა და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ: და მოკუდა მეფე არჩილ:

ლ) მეფე მირდატ ძე ვარაზ ბაქარ მეფისა და ძმა ფარსმან მეფის ხოსროიანი და მირდატ მეფე, წარიყვანეს ბაღდადს, ტყვეთ და მუნ მოკუდა: და ნათესავნი მეფეთანი დარჩეს ხევს კახეთისასა და მოიყვანეს ძე მირდატ მეფისა სახელით არჩილ ქართველთა და დასვეს მეფეთ მცხეთას:.

1-28 სტრ., 2v

ლბ) მეფე მირდატ ხოსროიანი და შვა ასული სახელით ხვარამზე და ძე სახელით სპარსულად ვარან

ხოსროვ თაგან ქართულად ვახტანგ და კვალად შვა ასული სახელით მიჰრან დუხტ და მოკუდა მეფე მირდატ

ლგ) მეფე ვახტანგ რომელსა შემდგომად ეწოდა ვახტანგ გორგასალი ძე მირდატ მეფისა ხოსროიანი

შვიდის წლისა ოვსნი გამოვიდეს ლაშქრით ქართლში და წარიყვანეს და ვახტანგ მეფისა მირაჰდუხტ სამი წლისა და ტყვედ და წარვიდა ვახტანგ ოვსეთს საომრად და წარმოტყვევნა ოვსეთი და წარმოიყვანა დაჲ თვისი და წარუგზავნა სპარსთა მეფესა ძღვენი მრავალი და სთხოვა ასული მისი ცოლად და მოსცა სპარსთა მეფემან ასული თვისი ცოლად ვახტანგ მეფესა: სახელით ბალენდუხტ და წარვიდა ვახტანგ საბერძნეთს საომრად და გაიმარჯვა და მოსცა ქვეყანა ყველა თვისი კეისარმა და ასულიცა თვისი ცოლად. მაშინ სპარსთა მეფის ასული დედოფალი ბალენდუხტ მომკუდარ იყო შობასა ზედა, რომელსა ეშვა მარჩბი ვად ძე და ასული ყმისა მისისათვის ეწოდა ვახტანგ სპარსულად დარჩილ ხოლო ქართულად დარჩი: სპარსთა მეფე მოვიდა ქართლს ვახტანგ მეფის საომრად. ვახტანგ გორგასლისაგან სპარსთა მეფის შველა, ჰინდოთა, სინდელთა, აბაშთა, და ჯორჯანელთა ზედა: შესვლა ჰინდოეთს, სინდელთა არაკი, სინდთა მეფისა: შესვლა აბაშეთს: და შეირთო ვახტანგ ასული კეისრისა სახელით ელენე: კიდევ სპარსთა მეფის მოსვლა საქართველოს საომრად ხოსროსი ვახტანგ ზედ და დასჭრეს ვახტანგ გორგასალი და ჰყუა ძე პირ მშო პირველისა ცოლთანა სახელით დარჩი: და მეორე ცოლი ასული კეისრისა ელენე და შვილნი მისნი ორნი სახლით ლეონ და მირდატ და მოკუდა ვახტანგ:

ლდ) მეფე დარჩი ხოსროვანი და მოკუდა ძმა მეფისა დარჩისა ლეონ და დარჩა მხოლო ოდენ მირდატ და დარჩიას ესვა ძე ბაკურ:

ლე) მეფე ბაკურ ხოსროიანი: და ესვა ძე ფარსმან ხოლო ამას მეფესა ბაკურს ესვა სხვაცა ძე ძმაჲ ამას ფარსმან მეფისა

ლვ) მეფე ფარსმან ხოსროიანი და მოკუდა:

ლზ) მეფე ფარსმანის ძის წული ფარსმან ხოსროიანი: აქ მოვიდნენ წმიდა მამანი ქარ

თლს ასურეთ და მ და ესვა ამა ფარსმანს ძე ბაკურ და მეფობიდან მირიან მეფისათა ვიდრე ამა მეორის ფარსმანამდე გარდახდეს წელნი ორასნი და მეფენი გარდაიცვალნეს თოთხმეტნი დიდ ვახტანგ გორგასლიდგან და კათალიკოზნი გარდაიცვალნეს ექვსნი და

1-49 სტრ., 3r

ლწ:) მეფე ბაკურ და მოკუდა ესე მეფე დარჩნეს შვილნი წვრილნი რომელი ვერ იპყრობდნენ მეფობასა და ქართველთ წარგზავნეს მოციქულნი წინაშე ბერძენთ მეფისა და ითხოეს მისგან მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართველისათა და მოსცა მეფედ დისწული ვახტანგის ძისა ბერძენის ცოლისა, რომელსა ერქუა გუარამ რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს:

ლთ) ქართლისა კურაპალატი გურამ ბაგრატიონი: ხოლო ეს გურამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი და ესე ბაგრატიონიანი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან ამა გურამისანი და ვიწყით ყოველივე ამბავი ბაგრატიონთა თუ ვითარ არიან ნათესავნი დავით წინასწარ მეტყველისა და სოლომონისანი, ანუ ვითარ მოიწივნეს ქვეყანას ჩვენსა ვიწყით ადამითგან და წარმოვსთქვათ ყოველი ნათესაობა მათი:

პირველი სვეტი

ადამ შვა სეით

შეით შვა ენოს

ენოს შვა კაინან

კაინან შვა მალაელ

მალაელ შვა იარედ

იარედ შვა ეოუქ

ეოუქ შვა მათუსალა

მათუსალა შვა ლამექ

ლამექ შვა ნოე

ნოე შვა სემ

სემ შვა არფაქსად

არფაქსად შვა კაინან.

კაინან შვა სალა

სალა შვა ებერ

ებერ შვა ფალეგ

ფალეგ შვა რაგავ

რაგავ შვა სერუქ

სერუქ შვა ნაქორ

ნაქორ შვა თარა

მეორე სვეტი

თარა შვა აბრაჰამ

აბრაჰამ შვა ისაკ

ისაკ შვა იაკობ

იაკობ შვა იუდა

იუდა შვა ფარეზ

ფარეზ შვა ესრომ

ესრომ შვა არამ
არამ შვა ამინადაბ
ამინადაბ შვა ნაშონ
ნაშონ შვა სალმონ
სალმონ შვა ბოოს
ბოოს შვა იობედ
იობედ შვა იესე
იესე შვა დავით მეფე
დავით მეფემან შვა სოლომონ
სოლომონ შვა რაბულ
რობულ შვა აბია
აბია შვა ასა
ასა შვა იოსაფატ.
იოსაფატ შვა იორამ

1-61 სტრ., 3v

პირველი სვეტი

იორამ შვა ოზია
ოზია შვა იოთამ
იოთამ შვა აქაზ
აქაზ შვა ეზეკია
ეზეკია შვა მანასე
მანასე შვა ამონ
ამონ შვა იოსია
იოსია შვა იექონია
იექონია შვა სალათიელ
სალათიერ შვა ზორაბაბელი
ზორაბაბელ შვა აბიუდ
აბიუდ შვა ელიაკიმ
ელიაკიმ შვა აზორ
აზორ შვა სადუკ
სადუკ შვა აქიმ
აქიმ შვა ელიუდ
ელიუდ შვა ელეაზარ
ელეაზარ შვა მატათან
მატათან შვა იაკობ
იაკობ შვა იოსებ ქმარი მარიამისი და ძმა კლეოპასი
კლეოპა შვა ნაომ
ნაომ შვა სალა
სალა შვა რობიამ
რობიამ შვა მუხთარ

მუხთარ შვა ელიაკიმ
ელიაკიმ შვა ბენიამენ
ბენიამენ შვა იერობემ
იერობემ შვა მოსე
მოსე შვა იუდა

მეორე სვეტი

იუდა შვა ელიაზარ
ელიაზარ შვა ლევი
ლევი შვა (შავ) იორამ
იორამ შვა მანასე
მანასე შვა იაკობ
იაკობ შვა მიქია
მიქია შვა იოაკიმ
იოაკიმ შვა იურობემ
იერობემ შვა აბრაჰამ
აბრაჰამ შვა იობ
იობ შვა აქაბ
აქაბ შვა სვიმონ
სვიმონ შვა იზაქარ
იზაქარ შვა აბია
აბია შვა გად
გად შვა ასერ
ასერ შვა ისაკ
ისაკ შვა დან
დან შვა სოლომონ.

სოლომონ შვნა შვიდნი ძმანი რომე
ლნი იგი მოსცა ღ~თნ ტყვეობასა
შინა:

და ესე შვიდნი ძმანი ძენი ამის სო
ლომონისნი წარმოვიდეს ქვეყანით ფი
ლისტიმით ტყვეობით წარმოსულ
ნი ჰურვანი და მოიწივნეს ეკლევს
წინაშე რაქაელ დედოფლისა და ნათ
ელ იდეს ჰელითა რაქაელ დედოფლ
ისათა: ერთი მათგანი შემოიყვანა
სიძეთ და ორნი მათგანნი ამზახანა
სომეხთა მეფეთა, ხოლო ოთხნი ესე ძმ
ანი გუარამ საჰაკ ასამ და ვარზავარდ

1-29 სტრ., 4r

წამოემართნეს ქართლს: მაშინ ვინათგან მოაკლდა მეფობაჲ შვილთა გორგასლისათა

მით ჟამითგან ეპყრა უფლებად ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე [....]
დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგან: ამას ჟამსა მ
ცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა და არმაზი შემცირდებოდა და
კალად გადი
დდებოდა და სპარსთა დაეპყრა სომხითი ქართლი და ასფურაგანი, ხოლო მაშინ
ვითარ უცალო
იქმნეს სპარსნი ითხოეს ქართველთა ბერძენთა მეფისაგან მეფე ქართლისად მაშინ
კეისარმა
მოსცა ესე გუარამ კურაპალატი, რამეთუ მანვე კეისარმან მოსცა პატივად კურაპალა
ტობად და წარმოგზავნა მცხეთად ხოლო სამნი იგი ძმანი ამის გუარამისნი წარვიდეს
კახეთს საჰაკ,
დაემზახა ბაკურს ძესა ნერსესისა ხოლო ასამ და ვარზავარდ წარვიდეს კამბეჩანს და
გარ
დაუქციეს ერი ვეზანს ერისთავსა სპარსთასა და მოკლეს ვეზან და დაიპყრეს მათ
კამბე
ჩოვანი და დასხდეს მუნ და ცხოვნდებოდეს ხორნაბუჯს და იმა ჟამამდე შვილნი
მათნი მთავრობენ
მას შინა:
და ბაკურ მეფის შვილნი ნათესავნი დაჩისანი ვახტანგის ძისანი რომლისათვის მიეცა
მეფობად
ვახტანგ მეფესა იგინი დარჩეს კახეთს და დაიპყრეს კახეთი და ჰერეთი იორითგან და
დასხდეს
უჯარმას და მორჩილებდეს გუარამ კურაპალატსა. ხოლო ამა გუარამ კურაპალატსა
ჰყუა
ნდა შვილი სახელით სტეფანოზ: ეწამა აბოი: და მოკუდა გუარამ კურაპალატი:
მ) ერის თავთა მთავარი ქართლისა სტეფანოზ ძე გუარამ კურაპალატისა ბაგრატონი
ხო
ლო ამან სტეფანოზ მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან
არამედ ერისთავთ მთავრად ხადოდეს და ჰყუნდა ძმა ამა სტეფანოზს სახელად
დიმიტრი და ამა ზედ
მოვიდა მავრიკ კეისარი ერეკლე ქართლს ბრძოლად სპარსთა და მოკლეს სტეფანოზ
და მო
უწოდა კეისარმა ძესა ბაკურისასა ქართველთა მეფისასა ნათესავსა დარჩისასა
ვახტანგის ძისა
სა რომელი ერისთავობდა კახეთს სახელად ადარნარსე და მისცა ტფილისი და
მთავრობა ქართლისა
და დაუტევა მის თანა ერისთავი ჯიბლა ბრძოლად ეკლესიისა:
მა) მთავარი ქართლისა ადარნარსე ძე მესამე ბაკურ მეფისა ხოსროიანი და შვილნი
სტეფანო
ზისანი და დარჩეს კლდესა შინა კლარჯეთისასა ამა ადარნარსეს ჰყუნდა ძე სახელად
სტეფანოზ და მოკუდა სტეფანოზ:

მბ) მთავარი ქართლისა სტეფანოზ ძე ადრიანის მთავრისა ხოსროიანი და ესხნეს ორნი

ძენი სახელად მირ და არჩილ. ამაზედ გამოჩნდა მოჰმად უსჯულო და მოკუდა სტეფანოზ:

მგ) მეფე მირ ძე სტეფანოზ მთავრისა ხოსროიანი და მოკუდა მირ ამის მეფისა ძე მოვიდა

1-29 სტრ., 4v

მურვან ყრუ დისწული მომეშისა

მდ) მეფე არჩილ ძე სტეფანოზ მეფისა და ძმა მირისა ხოსროიანი და ამას არჩილს მისცა ძმისწულ

ეზი თვისი ერისთავთა ქართლისათა ცოლებად: და მისცა ლეონს ცოლად ძმის წული მისი გუა

რან დუხტ: მაშინ მოვიდა მისსა ერთი მთავარი ვინ ბერილი იყო ნათესავითგან დავით წინასწარმ

ეტყველისა სახელით ადარნასე ძმისწული ადარნასე ბრმისა რომლისა მამა მისი მზარეულ იყო

ბაგრატოვანთადვე და ბერძენთა მიერ დაჯილდოვებული იყო ერისთავად არეთა სომხისისათა და ტ

ყვეობასა მას ყრუსასა შთასულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურატპალატისასა კლარჯეთს და

მუნ დარჩომილ იყო: ხოლო ამ ადარნასემ ითხოვა არჩილისაგან და ჰრქუა უკეთუ ინებო

და მყო ძე და ვითარცა მკვიდრი შენი მომეც ძე ქვეყანად და მისცა შულავერი და არტანი ამისა

შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მოუბოძა კახეთი და აზნა

ურ ყვნა იგინი: და შეირთო ცოლი ასული გუარამ კურატპალატისა რომელი იყო შვილთაგან

ვახტანგ მეფისათა ბერძნისა ცოლისა ნაშობთა და ესხნეს არჩილს ძენი ორნი ჯვანშერ და იო

ანე, ასულნი ოთხნი გუარან დუხტ, მირან დუხტ და შუმანა: მოვიდა ჭიჭუმ ნათესავი მოჰმადისა მოაოხრა ქართლი და აწამა ესე წმიდა არჩილ დამარხეს ნოდკორას:

მე) მთავარი ქართლისა იოანე და ძმა მისი ჯვანშერ ძენი წმიდა მოწამისა არჩილ მეფისანი ხოსრო

იანი: და წარსტყვევნა ჯვანშერ და დაჲ მისი შუმანა ხაზართ მეფემან და წარმოგზავნა ჯვა

ნშერ შემდგომად შვიდისა წლისა ქართლადვე: და შეირთო ცოლი ნათესავი ბაგრატოვანთა

ასული ადარნასესი სახელით ლატვერი და ბრა[....] დედმან მისმნა მოყუანებაჲ მისი ცოლად

რა კეთილ მეცნიერი იყო ვითარცა არავინ იგინი ნათესავნი დავით
წინასწარმეტყველისანი
და მიიცვალნეს იოანე და ჯვანშერცა და შემდგომად სიკუდილისა ადარნასესა
განადიდა
უფალმან მეფობად აშოტ კურაპალატისა, რომელი იყო შვილი ადარნასესი და ძმა
გურგენ ერისთავისა:
მვ) კურატ პალატი ქართლისა აშოტ: ძე ადარნასესი ბაგრატონი და გრიგოლი
მთავრობდა
კახეთსა და ესვენეს ძენი აშოტს: ადარნასე: და ბაგრატ და ძენი მისნი ადარნასე და შე
დეგი ბაგრატ უმრწმესი გუარამ და მოკლეს აშოტ კურაპალატი: დასაბამითგან
წელსა ექვსი ათას ცხრა ას ოცდა ათი:
მზ) კურაპალატი ქართლისა ბაგრატ ძე აშოტან კურატ პალატისა და ძმა ადარნასესი
და
გუარამისა, ბაგრატიონი და გარდაიცვალნეს: ადარნასესი ძე აშოტ კურაპალატისა
და ძმა ადარნასესი ბაგრატ კურტან პალატი გარდაცვალებულ იყო და ძენი ამის

1-30 სტრ., 5r

ბაგრატიანნი: აშოტ და ადარნასე გარდაიცვალნეს:

მწ) მეფე კურატ პალატი დავით ძე კურტან პალატისა ბაგრატოვანი მოიტყუა
ძემან გუარამ მამფალისამან დავით კურატპალატი და მოკლა და დაუტევა ძე
სახელად ად

არნასე:

მთ) მეფე ადარნასე ძე დავით ძე კურატ- პალატისა ბაგრატიონი. აქ აწამეს წმიდა
გობრონ:

ნ) მეფე ქართლისა კონსტანტინე ძე აფხაზეთ მეფისა: და ესე განუდგა მამასა თვისსა
მეფეს გიორგ

ის და დაუწვეს თვალნი და გამოყვერეს და მოკუდა და იყო მაშინ ძე მისი ლევან
ერისთავად ქარ

თლისა: და წარვიდა ლევან ლაშქართ კახეთსა ზედა და მოკუდა მეფე მისი გიორგი და
მისცა ასული

თვისი კვირიკე ძესა ცოლად: და შემდგომად მოკუდა ასული ლევანისა და იწყვეს
კვლად

მტერობა და მოკვდა ლევან და შემდგომად მისსა დაჰდა დემეტრე მეფედ ძმაჲ ლევა
ნისა:

ნა) მეფე ბაგრატ ძე გურგენ მეფეთ მეფისა ბაგრატოვანი ამას მეფის ზე იყო წმიდა
ეფთვისი ქარ

თველი:

ნბ) მეფე გიორგი ძე ბაგრატ აფხაზეთა და ქართველთა მეფისა ბაგრატოვანი ხოლო
ესხნეს მეფეს

გიორგის შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დიმიტრი და ორნი გურანდუხტ და კატად.
და მე

ხუთე შვილი მათი მართა მომკუდარ იყო:

ნე) მეფე ბაგრატ ძე გიორგისა მეფისა ბაგრატოვანი ცხრისა წლისა და ამისა

შემდგომად დედო

ფალი მარიამ დედა ბაგრატისა წარვიდა კონსტანტინე პოლეს კეისართან თხოვნა
კურატ

პალატობისა ძისა თვისისათვის და მოყვანებისათვის ცოლისა ძისა თვისისა და
უბოძა კუ

რატპალატობა და მოსცა ელენე ცოლად და ოდეს მოვიდა თავისად მამულად ქმნეს
ქორწილი

და რამდონსამე ხანს გარდაიცვალა დედოფალი ელენე და შერთო მეფემან ბაგრატ
სხვა ცო

ლი ასული ოვსთა მეფისა და დურღულელისა სახელით ბორენა: და სხვაცა ძე დარჩა
გიორგი მეფესა ანაკოფიასა შინა ოვსთა მეფეთა ასულისა მეორესა ცოლისა თანა:
სახელით

დემეტრე: ხოლო ამის მეფისა ძე იყო წმიდა გიორგი მთაწმიდელი: ქრისტეს აქეთ ჩაღ.

და მოკუდა ძმა ბაგრატ მეფისა და დიმიტრი: და ჰყუანდა ძე სახელით გიორგი: ხო

ლო ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თვისი მართა: და შერთო ბერძენთა მეფესა:

და შემდგომად გაათხოვა დისწული და შერთო სპარსთა მეფესა სულტანსა და მოვიდ

ნენ დედა მისი დედოფალი მარიამ და ცოლი მისი ბორენა და ასული მისი მარიამ

და გარდაიცვალა მეფე ბაგრატ.

ნდ) მეფე გიორგი კურატპალატი ძე ბაგრატ მეფისა ბაგრატოვანი:

1-27 სტრ., 5v

ცხოვრება მეფეთ მეფისა გიორგის ძისა რომელი იყოს სამეოცდა ათ თვრამეტე

შვილის

შვილთაგანი დავით წინასწარმეტყველისა რომელსა ეწოდეს შემდგომად დავით
აღმაშენებე

ლი: ხოლო ესე დავით იყო ქართლისა და აფხაზეთისა მეფე მეორმეოცდა ათ

თხუთმეტე:

და ჰყუანდა ასულნი ორნი სახელით: კატად გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა

მეფისა, რამეთუ პირველ ამისა პირმშო ასული თვისი სახელით თამარი გაეგზავნა

დედო

ფლად შირვანსა: და ესვა ძე სახელად დიმიტრი, დედოფალი სახელით გუარან დუხტ

შვილი

ყივჩახთა და იშვა ვახტანგ: იყო წლისა სამოცდა ერთისა ხოლო მეფობდა ოცდა

თექვსმე

ტ წელს: მონაზონ იქმნა:

ნე) მეფე დიმიტრი ძე დავით აღმაშენებლისა ბაგრატოვანი და ესხნეს ძენი ორნი:

უხუცესი

დავით და შედეგი გიორგი და ასული სახელით რუსუდან:

ნზ) მეფე დავით: ძე დიმიტრი მეფისა ბაგრატიონი: და ესვა ძე სახელად დიმიტრი და შე

მდგომად მისსა მოკუდა: მეფე დავით და შემდგომად მისსა დაჯდა მეფედ: გიორგი ძმა მისივე და ძე დიმიტრისი და დაჲ დიმიტრისა თამარ გარდაიც

ვალა:

ნწ) მეფე: გიორგი ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა ბაგრატიონისა და ამის მამა

მან დიმიტრი მეფემან სიცოცხლესავე თვისა მოჰგვარა ცოლი ასული ოვსთა მეფისა ხუდ დადიანისა სახელით: ბურდუხან და შვეს შვილი სახელოვანი ასული სახელი თამარ

ნთ) ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი: მეფისა გიორგის ასულისა რომელი იყო მეორმოც და ათ ცხრამეტე მეფე ქართლისა: დასაბამითგან წელსა ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდა ექვსსა: ქრისტეს აქათ: ათას ას ორმოცდა ათ თექვსმეტ სა: და შემდგომად ჟამ რაოდენიმე მიიცვალა დედა თამარისა დედოფალი: ბურდუხან: და შემდგომად ამისსა მიიცვალა დიდი მეფე გიორგი და მამი დამ თამარისამან რუსუდან და გამზრდელმან მისმან და ყოველთა აკურ თხეს და მეფედ დაჯდა ვითარცა ჩვეულება არს მეფეთა: და შეკრბეს სრულ იად სამეფოსა დიდებულნი და აიძულეს თამარ ქორწინებად და მკვიდრისა სამკვიდროსა: და წარმოდგა კაცი ტფილისისა მკვიდრთაგან თავადი და

1-28 სტრ., 6r

მეფეთ მეფისაგან წყალობა ყოფილი ამირად ქართლისა და ტფილისისა სახელით აბუ სალან ვისი შვილი რუსთა ჰელმწიფისა ანდრია დიდისა მეფისა რომლისა მნებენ სამნი

მეფენი, და არს აწ დევნილი და ექსორია ქმნილი მამისაგან და ბიძისა ტფილისითგან დიდ ვაჭარი სახელით ზორაბაბელ და მსწრაფლ მოიყვანონ რ იყუნენ მაშინ რ უსნი ქრისტიანე და შემდგომად მცირედისა ჟამისად მოიწივა კაცი იგი და მოიყვ ანა დიდ გვარნი და ანაგებითა ყოვლითურთ სრული და ახოვნე სახილვად და სთ ნდათ ყოველთა არამედ შინაგან მისსა არა არს მეცნიერ იყუნენ და შეკრბენ წი ნაშე რუსუდანისა სამლდელონი და საერონი და მოახსენეს თამარს ქორწინება და ასწრა

ფებდეს შერთვეს და ქმნეს ქორწილი და იქმნა ესე რუსი ყოვლითურთ უკეთურ და მემთვრალე და იყუნენ ორ წელიწად და ნახევარ ითმენდა და ვერდა ეძლოთ თმენა უკეთუ

რებასა მისსა და ექსორია ქმნეს კონსტანტი პოლედ ნავთა შინა შთასვეს მრავლითა დ იდებითა და მწუხარე იქმნეს ყოველნი საქართველოსანი მკვიდრნი უმკვიდროებისა მათისათვის ხოლო იყო სახლსა შინა რუსუდანისასა მოყმე ეფრემის ძეთა შორის თაგანი

რომელ არიან ოვსნი ვინათგან რუსუდანს თვის ეყოდა მამის დისა მისისა დავითის ასულისა ო

ვსეთს გათხოვილისასა მიზეზით რამეთუ ოვსთა მეფის შვილი იყო: და გვარადაც
ბაგრატოვანი
რამეთუ დიმიტრი ძე გიორგი მეფისა რომელი დაშთა ოვსთა მეფისა ქალაქისაგან მის
დიმი
ტრისა მეექუსე ნათესავი იყო ძეთაგან მისთა და რუსუდან უშვილო იყო და იგი
მოეყვანა
აღსაზრდელად სახლსა თვისსა ყრმა ფრიად შვენიერი და ყოვლითურთ უნაკლულო
და ინებეს
ამისსა შერთვად და მოახსენეს რუსუდანს და მიიწივნეს წინაშე თამარისა და
მორჩილობდა მამის
დასა თვისსა ვითარცა მშობელთა თვისთა დაემორჩილა მათ და შერთვეს ამას დავითს
და გა
მოვიდა რუსი იგი ლაშქრითა დიდითა რომელთამე მიერთვნენ ქართველნიცა და
ქმნეს
ომი დიდი და შეიპყრეს რუსი და მოიყუანეს წინაშე დედოფლისა და გაუშო თვისსა გ
ზასა დარჩა თამარ სახლად გიორგი და შემდგომად წლისა შვა კვალად ასული სახ
ელად რუსუდან: და კვალად მიიწია რუსი იგი და იქმნა ომი დიდი და ძლივ განერა
ორითა მონითა და შემდგომად ჟამისა რაოდენსამე მიიცვალა სოსლან დავით და
დაუტ
ევა ორნი ძენი ყრმა ლაშა გიორგი და ასული რუსუდან და მიიცვალა ესე დიდებ
ული თამარ და დაუტევნა მკვიდრად გიორგი და რუსუდან და დაჰყო მეფობასა შინა
ოცდა სამი წელი:

1-31 სტრ., 6v

მეფე ლაშა გიორგი რომელი ითარგმანების აფსართა ენითა ქვეყნის მნათობლად ძე
თამარ
მეფეთ მეფისა ბაგრატოვანი და ოდეს გვირგვინოსან იქმნა მეფედ იყო წლისა
ცამეტისა და
ოდეს მიიცვალა თამარ იყო ლაშა გიორგი თვრამეტისა წლისა: ხოლო ესე დავით იყო
მემთვრალე და უკეთურ მოსაკვეთა თავისა გვემეს ძრეილად და მარჯვენა თვალი
ხედვისაგან
დააკლეს და არა შეირთო ცოლი არამედ მეძაობდა არამედ მისრულმან კახეთსა
სოფელ
სა ველის ციხესა იხილა ქალი ფრიად ქმნილ კეთილი და მყის აღიტაცა იგი და შეიყვა
ნა თვისად და მუცლად ილო დედაკაცმან ყრმა რომელსა უწოდენ სახელად დავით:
ესე და
ვით არს რომელი დიდსა განსაცდელთა მეფე იქმნა ამის მეფისა ძე გამოჩნდენ ჩინგის
ყაენისანი გამოჩნდეს ქვეყანა აღმოსავლეთისასა და შემდგომად ჟამ რაოდენ მე
მიიცვალა მეფე გიორგი ლაშა:
მეფე რუსუდან ძე თამარ მეფისა და ლაშა მეფისა გიორგისა ბაგრატოვანი: ამის
მეფობისა

იწამა წმიდა შალვა ერისთავი ამა ჟამთა შინა მოიყვანა მეფე რუსუდანს ორტულის შვილი მზევლად ერთულობისა მისისათვის რომელი იყო ქმნულ კეთილი და განიცადა ვითა რცა სთნდა მეფესა რუსუდანს და ინება ქრმად მოყვანება მისი და იქორწინა ორტულის შვილთან და შვა ასული და უწოდა სახელი დედისა თვისისა თამარ და კვალად შვა ძე და უწო და სახელი დავით და კვალად ზრდიდა ძმის წულსა თვისისა ძესა ლაშა გიორგისასა [და] დავითს და ვითარცა აღიზარდა ასული თამარ სთხოვა საბერძნეთის სულთანმა ძემან ნუქარ დინ ისამან ყიასთან ცოლად აღუთქვა ქრისტიანე ყოფად და მისცეს და აღძრა ესე შურად ეშმაკმან და წარავლინა ძმის წული თვისი წინაშე სულთნისა და ასულისა თვისისა რათა წარწყმიდონ იგი და ვითარცა მიიწია წინაშე მათსა შეიყვარეს და პატივ სცეს დიდად და არა ისმინეს ვედრება რუსუდანისა და შემდგომად ამისა აკურთხეს ძე რუს უდანისა და დასვეს აფხაზეთს მეფედ და ძე რუსუდანისა ნარინ დავით წარიყუანეს ყაენთა ნ და დაჰყო წელნი რაოდენიმე და მეფე რუსუდან შვილისა თვისისა ნაღვლითა და ტკივილითა ძწ არეთა ილეოდა და გარდაიცვალა და იყო ქართლი უმეფოდ და განაგებდნენ თათარნი ბეგლარ ბეგნი და საქართველოს დიდებულნი თავადნი და მოახსენეს ბეგლარ ბეგთა არის მკვიდრი ჩვენი მ ეფის ძე საბერძნეთს ლაშას ძე სახელით დავით და სთხოეს სულთანს და მოგვცეს და და დგინეთ მეფედ ჩვენდა და ისმინეს ითხოეს და მოსცა მოვიდა ქართლად და ვერ ეძლოთ იმათ მეფობისა დამტკიცებად და წარავლინეს წინაშე დიდისა ყაენისა ბითოსა და ბითომ და ბითომ წარავლინა წინაშე დავით მანგუ ყაენის ყარა ყურუმსა და შეიყარნენ ორნივე დავითები ესე დავით და ნარინ დავით ორთავე უნდოდათ მეფობა არამედ სარგის თმო გველი წინა აღუდგებოდა და ეტყოდა არა ჯერ არს რათამცა ნაშობმან დედაკაცი

1-31 სტრ., 7r

სამან დაიპყრას მეფობა და არა მამაკაცისაგან ხოლო მიუგებდენ ნარინ დავით დედაკაცისა ნაშ ობი იყო არამედ მეფე რუსუდან ძმისა თვისისა გიორგისაგან დატევებული და მეფისა

ვე ძე არს ნარინ დავით: და შემდგომად ჟამ რაოდენიმე მოსცეს ორთავე მეფობა და მოვიდნენ

ქართლად:

აბ) მეფენი: დავით ლაშა გიორგი მეფისა და კიდევ დავით ძე რუსუდან მეფის დისა ლაშა გიორგისა მეფისა ბ

აგრატოვანნი: ხოლო უპირატესი პატივი და ზემო ჯდომა ლაშას ძესა დავით ეპყრა და უფროსიც იყო

წლითა და წარვიდნენ ყაენთან ლაშქრათ და შეიპყრეს რუსუდანის ძე დავით და ბარდავს გამოგზავნეს და

მოიწივნენ ნახიჩევანს და წარვიდა დავით ორითა კაცითა აფხაზეთს და მუნ მეფეთ ყვეს აფხაზეთა ვიდრე

ლიხთამდე და აქა შეიქმნა სამეფო ესე სამეფოდ და იყვარებოდეს ურთიერთას და ლაშას ძე

ეს დარჩა ლიხთ აქათი და ლიხთ იმერი რუსუდანის ძესა: და შემდგომად ამისსა დაიბარა დავით

ლაშას ძე ყაენმან და წარვიდა და დაუტევა გამგებლად სახლსა სამეფოსა დედოფალი ჯიგდა ხათუნ: არა

უმვა შვილი ამისათვის ინება მეფემან მოიყვანა ქალი კეთილი ნათესავით ოვის სახელით ალთუნ:

მეუღლედ თვისად მიუდგა და შვა ძე სახელად გიორგი რომელი აღიქვა შვილად დედოფალმან

ჯიგდა ხათუნ. და შემდგომად მცირესა მიუდგა და შვა ასული სახელით თამარ: აქა განიშ

ორა საყვარელი ალთუნ: და შემდგომად მცირესა ჟამსა გარდაიცვალა დედოფალი ჯიგდა

ხათუნ: და შემდგომად ავაგ ათაბაგი მიიცივალა და მოვიდა მეფე ბინჯის სატირლად და იხილა

ცოლი ავაგისი და ეტრფიალა და შეირთო სახელით გვანცა მიუდგა და შვა სახელით დი

მიტრი და შემდგომად ამისსა დედოფალი გვანცა ავაგის ცოლ- ყოფილი მოკლულ იქნა თა

თართა შინა: და უცოლო იყო მეფე დავით. იქორწინა ცოლი სახელით ქანა[..]

დიდისა ჭარმალონ ნოინისა და მოკუდა ძე მეფის დავითისა გიორგი: და

მის შემდგომად მიიცივალა მეფე დავით ხოლო თქმული არს ცოლისა მიერ თავის ისა მოიკლა წამლის მიცემითა ესუქნის მიერ:

აგ) მეფე ქართლისა დიმიტრი თავდადებული ძე დავით მეფისა ბაგრატოვანი: დაღაცა

თუ ყრმა იყო მეფე დიმიტრი არამედ ინებეს და წარავლინეს კაცი პონტოდ

მეფისა ბერძენთასა კლიმინიანესა რომელი იყო ნათესავი დიდისას კონსტანტინესა და მოიყვანეს ასული მეფისა ტრაპიზონტელისა შერთვეს და ქმნეს ქორწილი

და შვა ძე სახელით დავით და სთხოვა არღუნმა მეფესა დიმიტრის დაჲ თვისი ცოლად

შვილისა თვისისათვის: თამარ: და მისცა და კვალად მიუდგა დედოფალი და შვა ყრმა სახელით ვახტანგ: და ქმნა ბოროტი და მოიყვანა ცოლნი სამნი და ესხნეს მეფესა დიმიტრის შვილნი დედოფლისა ტრაპეზონელისა ასულისა თანა პირშმო: დავით ვახტანგ და ლაშა და მანოელ: და ასული რუსუდან ხოლო თათრისა ასულისა თანა

1-28 სტრ., 7v

მეორენი: ბადურ და იედიგარ ასული ჯიგდა და ასულმან ბექასამან ნათელი უშვა ძე მხოლო

გიორგი და შემდგომად ამისსა მოკლეს მეფე დიმიტრი ყაენმა: და შემდეგ ამისსა დამალეს

ცოლნი და შვილნი მეფისანი და მოიყვანეს მეფე აფხაზთა მეფე დავით და თანა წამოიყვანა ძე

თვისი ვახტანგ: და ყაენმა შეიყვარა ვახტანგ და მისცა მეფობა ქართლისა და დაჲ თავისი მისცა

ცოლად ყაენმა ვახტანგს სახელით ორჯათ:

დღ) მეფე: ვახტანგ ძე დავით აფხაზთა მეფის ძის რუსუდანისა ბაგრატიონი და შემდგომად სამისა წლისა

მოკვდა მეფე ვახტანგ. და შემდგომად ამისსა მოკუდა მამაცა მისი დავით და დაუტევა სამნი

ძენი: პირშმო კონსტანტინე: მიქელ: და ალექსანდრე: და მეფე იქმნა კონსტანტინე:

დჲ) მეფე: დავით ძე დიმიტრისა მეფისა ბაგრატიონი: და მოსცა ცოლად დაჲ თვისი ლოლჯათ რომელი ესვა ცოლად მეფე ვახტანგსა: დასვეს მეხუთედ მეფეთ ესე გიორგი ძმისა მისის დავითის წილ:

დვ) მეფე ქართლისა ვახტანგ ძე დიმიტრი მეფისა ბაგრატიონი:

დზ) აქა დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგიმ რომელი აღეზარდა პაპასა მისსა

დიდსა ბექას ხოლო ესე გიორგი იგი არს რომელი ამა მეფის ვახტანგისაგან უწინ მისცა ყაენმა მეფობა ძე დიმიტრი თავდადებულისა და ძმა დავით მეფისა და ვახტანგ მეფი

სა. მეფე გიორგი ბაგრატიონი ხოლო მესამესა წელსა მეფე დავით მიიცვალა და დაჯდა

ძე მისი მცირე გიორგი ორ წელ მეფე ქმნილი:

დწ) მეფე ბაგრატი: ბაგრატიონი ამას ზე გამოჩნდა ლანგ თემურ: შემდგომად ამისა მოკვდა

მეფე ბაგრატი:

დთ) მეფე გიორგი ბაგრატიისა და შემდგომად ამისა მოკუდა მეფე ბაგრატი თურქისტანს ლანგ თემურ მოკვდა:

დო) მეფე დავით ძე გიორგისა ქრისტეს აქეთ ჩტნე: და შემდგომად მოკვდა დავით.

ოა) მეფე: ალექსანდრე ძე დავითისა ქრისტეს აქეთ ჩტებ და შედეგ ამისა მოკუდა ალექსანდრე

ობ) მეფე: გიორგი ძე ალექსანდრესი ქრისტეს აქეთ ჩტუგ:

ოგ) მეფე: ალექსანდრე ძე გიორგისა ქრისტეს აქეთ: ჩუიბ: ამან იწყო შენობა მცხეთისა და რუისისა და შემდგომად მოკვდა ალექსანდრე.

ოდ) მეფე ვახტანგ: ძე ალექსანდრესი ქრისტეს აქეთ: ჩუით: და მოკუდა ვახტანგ და არა ესვა ძე.

1-28 სტრ., 8r

ოე) მეფე გიორგი ძმა ვახტანგ მეფისა ძე ალექსანდრესი ქრისტეს აქეთ: ჩუმე: შედეგ მიიცვალა [ბაგრატ]

ოვ) მეფე ბაგრატ ძე გიორგისა შემდეგ ამისა მიიცვალა მეფე ბაგრატ.

ოზ) მეფე: კონსტანტინე ძე ბაგრატისა ქრისტეს აქეთ: ჩუდა: შედეგ მოკუდა მეფე კონსტანტინე.

ოძ) მეფე ალექსანდრე: ძე კონსტანტინესი და ძე ბაგრატისა“ ქრისტეს აქეთ ჩუდჳ: შედეგ მოკუდა

ოთ) მეფე კონსტანტინე ძე ალექსანდრესი ქრისტეს აქეთ ჩუნბ: შედეგ ამისა მოკვდა ჰყუნდა

ძენი ხუთნი: უხუცესი დავით, გიორგი, ბაგრატ ალექსანდრე: და მელქისედეკ ქათალი კოზ იჯდა:

პ) მეფე დავით ძე კონსტანტინესი და მოკვდა დავით.

პა) მეფე გიორგი ძე კონსტანტინესი და ძმა ამ მეფის დავითისა ქრისტეს აქეთ: ჩფუზ: იქმნა მო

ნაზონ გიორგი ძე არა ესვა თვისად და მისცა მეფობა ძმის წულსა თვისსა ლუარსაბს:

ობ) მეფე ლუარსაბ: ქრისტეს აქეთ ჩუმა: და ძმა მეფისა გიორგისა ბატონი მუხრანისა ბაგრატ მონაზონ იქმნა და ესხნეს ძენი ოთხნი: ვახტანგ: ერეკლე: არჩილ: და შოთან: და შემდგომად ამისა მოიკლა მეფე ლუარსაბ:

ოგ)მეფე: სვიმონ ძე ლუარსაბისა და შემდგომად ჟამ რაოდენმე მოკუდა სვიმონ სტამბოლს.

ოდ) მეფე გიორგი ძე სვიმონისა და მოკუდა გიორგი.

ოე) მეფე: ლუარსაბ ძე გიორგისა და არა ესვა ძე და არცა ძმა ამ ლუარსაბს და მოაშთვეს

წმიდა მოწამე ლუარსაბ მეფე:

ოვ) მეფე ბაგრატ ძმის წული მეფისა სვიმონისა ქრისტეს აქეთ ჩქით. ნაშობი კახ ბატონის ქალისაგან.

ოზ) მეფე სვიმონ პატარა ქრისტეს აქეთ ჩქვჳ: და მოკლა ზაალ ერისთავმა სვიმონ მეფე და დასრულდა თესლი დიდის მეფის ლუარსაბისა და მეფობდა ბატონი თეიმურაზ

ხოლო იყო გვართა უნდილაძე სახელით დაუთხან და უფლებად განჯას თვით: აღზრდილი ყიზილ ბაშმა შინა და იყენენ ძმანი და სახეულნი მისნი მრავალ გვარად ნამსახურნი და ცნობილნი შაჰაბაზ ყენისა მიერ: და შაჰ მეფემ შეიპყრა

ძმა დაუთ ხანისა და წარკვეთა თავი და შვილსა მისსა დასთხარა თვალეზი დაექვისი ძმისწული მოკლა და ესმა დაუთხანს და უკუდგა ბატონის თეიმურაზის თანა და ესმა შაკ შეფ ყაენსა ძესა შაკთამაზისასა წარმოგზავნა სააკაძე როსტომ სპა სალარობა მისცა ქართლზედ გამოატანა ბატონად ქართლისა ხოსრო მირ ზა ძე დაუთხანისა: ამ ზემო წერილის დაუთხანისა და უწოდა როსტომ ხან: ოწ) მეფე როსტომ ძე დავით ხანისა და არა ესვა შვილი როსტომ მეფესა ლუარს აზის შვილი რომ მოუკვდა მუხრანის ბატონის ვახტანგისათვის მოეკიდა ჳელი

1-28 სტრ., 8v

და ეშვილებინა და გაგზავნა ვახტანგ მუხრანის ბატონი ყაენთან და უშოვნა ჳანიშინობა.

ქართლისა ყაენისაგან და გაათათრა ესე ვახტანგ იყო თესლი კონსტანტინე მეფისა: თ ვით კონსტანტინედამ თავი მეოთხე და კონსტანტინემ შვა დიდი მეფე: გიორგი მეფე ალ

ექსანდრე. ბაგრატ და მელქისედეკ კათალიკოზი: ამა მეფემ დავითს მისცა მუხრა ნი ძმასა თვისსა ბაგრატს: და ამან ბაგრატ შვა ვახტანგ დედოფალი ქეთევან: აშოთან არჩილ: ერეკლე და სამნი ძმანი უძო ეგნენ: და ვახტანგ შვა თეიმურაზ და ქაიხო სრო გამგებელი ქართლისა: და თეიმურაზ შვა ვახტანგ რომელსა სპარსთ უწო დეს შაკ ნავაზ და კონსტანტილე და მოკუდა როსტომ მეფე და დედოფალი მარიამ შეიყვანეს

ტვილისში ციხეში:

ოთ) მეფე ვახტანგ: შაკნავაზ და ესვა ცოლად ასული ყაფლანისა სახელით როდამ და როდეს ქარ

თლი მოსცა ყაენმა მაშინვე ცოლად მოსცა მარიამ დადიანის ქალი ცოლი როსტომ მეფისა და

შეირთო და ჳყვანდა ორივე ცოლად და ჳყუეს რადამთან ძენი და ასულნი უხუცესი არჩილი: გიორგი: ალექსანდრე, ლევან, ლუარსაზ, სულეიმან ასულნი ორნი: ანუკა ყაენმა ცოლად წარიყუანა: და მეორე თამარ: და ამათ ჟამთა შინა იწამნეს შალვა და ელისბარ და ბიძინა: და მოკუდა შაკ- ნავაზ ისპაჳანს წასული.

ო) მეფე გიორგი ძე შაკნავაზი: და შემდგომად ამისსა მიიცვალა როდამ დედოფალი და ამისსა შედგომად მიიცვალა დედოფალი: და ამისა შემდგომად მიიცვალა დედოფალი მარიამ: და მას ჟამსა შინა მოკუდა თუთა ასული გურიელისა ცოლი ლევან ბა

ტონის შვილისა და ჳყუა მას თან ბატონის შვილს ლევანს სამ ძე და ერთი ასული სახელით ქაიხოსრო: ვახტანგ:და დომენტი: და ასული ხორამზე და შემდგომად ამისსა: მიიცვალა დედოფალი თამარი დავითის შვილის ქალი ცოლი მეფის გიორგისა და

დარჩა ძე ერთი ბაგრატ და ასული ერთი მარიამ: და შეირთო კვალად მეფემან გიო რგიმ ცოლი იმერელი მიქალ ძისა შვილი სახელით ხვარაშან და სთხოვა ყაენმა ძმა ლ ევან და წარგზავნა ძმა თვისი ლევან და ძმა თვისი ბაგრატ და ლუარსაზ უწინვე წასულ იყო.

და მოსცა მეფემ გიორგიმ ასული თვისი მარიამ ქსნის ერისთავს დავითს ცოლად და შეირთო კვალად ლევან ცოლად ავალის შვილის ასული და ესხნეს ძენი იასე სვიმონ და თეიმურაზ.

1-4 სტრ., 9r

ჟბ) მეფე ირაკლი

მეფე ლევან გამგებელი ქართლისა

მეფე ვახტანგ

მეფე იესე

1-34 სტრ., 9v

უი) ქ. ქალაქსა და კახეთს შუა ჩხუბი რომ ჩამოვარდა და ყიზილბაშთაგან დაუწყვეს ოხრობა ქალაქს

ტყა)ქ. მეფის ლევანის ძის მეფის ვახტანგის თარიღ

ტპბ) ქ. შაჰ სულთან ჰუსეინ ყაენი ისპაჰანს ტახტზედ დაჯდა

ულ) ქ. ხაჯალი ხანი მოვიდა ქალაქს ოსმალნი გაყარა

ულა) ქ. ველნამად ნადირ ყაენი მოვიდა ქალაქს

ულთ) ქ. ნადირ ყაენის სიკუდილი

ულ) ქ. მეფე თეიმურაზ წავიდა ნადირ ყაენთან.

ქ. ამ თარიღში მეფე ირაკლიმ ქალაქის ციხე აიღო გამოასხნა თათარნი.

ქ. დიდი მეფე თეიმურაზ წავიდა ბუხარას ფეხერვლის ი.ე უიწ

ქ. ლანგ თემურ გამოვიდა იე. მოვიდა ტფილისი წაახდინა წავიდა შეუმუსრა და ჩაძაღლდა უიზ

ქ. სტამბოლი გამოართვეს ბერძნის კეისარს მანოელს. ტნა

ქ. დიდმან შაჰ აბაზმან მეორე შაჰ-ბაზმან შაჰ-ისმაილმა სულეიმანმან ქართველთ ქალაქი წაახდინეს.

ქ. მეფე როსტომ მიიცვალა რმვ.

ქ. შაჰნავაზ ვახტანგ ხოსროვანი დაჯდა რმე.

ქ. შამახია ძვრით ჩაძვრა. პვ

ქ. იაკობ ჰექევიურ ტერი მოვიდა ქალაქსა რლ

ქ. გიორგი მეფე დაჯდა ტფილისს. რკვ.

ქ. ერეკლე ნაზარ ალი ხან მოვიდა ქალაქსა. რივ

ქ. გიორგი მეფე ყანდაჰარს მოვიდა რმე

ქ. ლევან მეფე დაჯდა ტფილისს შაჰყული ხანი ზემო რიცხვში

ქ. გიორგი მეფე მოკვდა ყანდაჰარს- რგ

ქ. ლევან მეფე მოკვდა ვახტანგ წარვიდა ყაენთან ზანიშნობა მისცა ზემო რიცხვში.

ქ. დაღისტანს ღაიპი სულთან დაჯდა ზემო რიცხვში.

ქ. ასტვანატურ კათალიკოსი მოვიდა ტფილისს. პზ

ქ. მეფე ვახტანგ მოვიდა ტფილისს. პვ

ქ. თავრიზი რომ დაიძარა და ზინზილია იქმნა. პგ

ქ. ამავე წელს მეფე ვახტანგ მეორე შაჰნავაზ კახეთს წავიდა.

ქ. ამავე წელიწადს შამახია ლეკმა აიღო.
ქ. მირვეიზმა ისპაჰანი აიღო. პბ.
ქ. ამავე წელიწადს რუს კელმწიდემა დარუბანდი აიღო.
ქ. ლეკმა ტფილისი აიღო კახ ბატონმა მოიყვანა პა.
ქ. ამავე წელიწადს მეფე ბაქარ წარვიდა სტამბოლს ოსმალთა მოასხა
ქ. ამავე წელიწადს მეფე ვახტანგ წავიდა რუს კელმწიფესთან.
ქ. ამავე წელიწადს ოსმალთა ტფილისი აიღო რაჯაბ ფაშა დაჯდა და ნარიმან ბეგი მოკვდა.

1-27 სტრ., 10r

ქ. ერავანი ოსმალთა აიღო.
ქ. ამ წელიწადს ქართველთა კათალიკოზი სტამბოლს წავიდა.
ქ. ამავე წელიწადს კახეთი და განჯა ოსმალთა აიღო.
ქ. მრუდი აღდგომა რომ იქმნა ოე.
ქ. თავრიზი ნადირ შაჰმა აიღო. ოდ.
ქ. ამავე წელიწადს ნადირ შაჰმა ერევანი აიღო.
ქ. ოსმალთა თავრიზი აიღო. პგ.
ქ. ამავე წელიწადს თავრიზი მისცეს ყაენს ველინამად ნადირს
ქ. ისაკ ფაშა დაჯდა ტფილისს. რნბ.
ქ. როსტომ ფაშა მოვიდა ტფილისს აპრილსა ა.ოგ
ქ. ამ წელიწადს მისცეს ოსმალთა ფაშას ტფილისი.
ქ. ამ წელიწადს როსტომ ფაშა მოკვდა მაისს. კა
უმთ) ქ. მეფე თეიმურაზ რუსეთს წაბმანდა.
უმთ) ქ. რუსნი რომ ქალაქს მოვიდნენ.
უმთ) ქ. ომარ ხანი რომ მოვიდა ვახანი და მალანი წაახდინა
უმთ) ქ. რუსნი რომ მოვიდნენ პოლკონიკნი თოფხანითა ზუბოვირიანალმა
დარუბანდი შაქი შირვანი განჯა აიღო
უმთ) ქ. რუსნი რომ წავიდნენ.
უმთ) ქ. აღამოჰმად ხანმა ქალაქი რომ წაახდინა ენკენის თვის ია.
უმთ) ქ. აღამოჰმად ხანი რომ ჩაამდლეს თიბათვის ბ, ხუთშაბათს.
უმთ) ქ. მარიამობის თვეში რუსნი წავიდნენ.
უმთ) ქ. რუსთ კეისარი ეკატერინე მიიცვალა გიორგობის თვეში პავლე პეტროვიჩი
კეისრად დაბმანდა.
უმთ) ქ. იანვარში მეფე ირაკლი მიიცვალა: მეფე გიორგი მეფედ დაბმანდა.
ქ. ზემო თარიღში აღამოჰმად ხანის ძმის წული ბაბახან სარდალი გამოვიდა.
უმთ) ქ. ბაბა ხან ყაენის რაყამი მოვიდა ჩაფარიც ბატონთან.
უმთ) ქ. გიორგობისა იდ. დიდი ჭირი გამოჩნდა წმიდა ლახვარი მოაბმანეს ჭირი
გარდავარდა.
უმთ) ქ. მეფე გიორგიმ ექვსი ათასი ლეკი მოასხა.
უმთ) ქ. ეს მეფე გიორგი მიიცვალა.